Georgian National
Film Center
საქართველოს კინომატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი №1



2011

პრემიერები

2011 წლის დასაწყისში შედგა ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი სამი ახალი ქართული ანიმაციური ფილმის პრემიერები:

„ბუცეფალი“ (3 წუთი, რეჟისორი: მარიამ კანდელაკი, საპროდიუსერო კომპანია: "კვალი XXI"; ვიქტორ შენდეროვიჩის ამავე სახელწოდების ერთაქტიანი პიესის მიხედვით.)

„რიტუალი“ (შედგება ორი სერიისგან, რეჟისორები: ზაალ სულაკაური, გელა ბერიანიძე, ვიქტორ წიკლაური; წარმოება სტუდია „რიტუალი“)

I სერია - **„გრძნობათა ტყვეობაში“,** 8 წთ.
II სერია - **„ეჭვიანი ქმარი“**, 7 წთ

„კავკასიის შორეული ხეობები”

14 იანვარს, კინოთეატრ რუსთაველის მე-2 დარბაზში გაიმართა ახალი ქართული დოკუმენტური ფილმის“კავკასიის შორეული ხეობები” (უილიამ ოზგუდ ფილდის მოგზაურობასაქართველოში 1929-1933 წლებში) დახურული საპრემიერო ჩვენება. (მწარმოებელი კომპანია – სტუდია “X-Form”). ფილმი გადაიღეს ეროვნული კინოცენტრის და აშშ საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.
დოკუმემენტური ფილმი ასახავს ამერიკელი მოგზაურის და ფოტოგრაფის - უილიამ ოზგუდ ფილდის მოგზაურობას საქართველოში. ცოცხლდება 20-იანი, 30-იანი წლების ქართული რეალობა. საქართველოზე შეყვარებულმა ფილდმა, ამ ქვეყნის შესახებ ასობით გვერდი დაწერა, გადაიღო იმ ეპოქის ამსახველი 500-მდე ფოტოსურათი და სამი უნიკალური ეთნოგრაფიული ფილმი ქართლში, ხევსურეთსა და სვანეთში. მის მიერ შექმნილი უნიკალური არქივი თითქოს დროში მოგზაურობაა და ფილმიც ერთგვარი ისტორიაა ისტორიაში.

„ხმელეთის 0, 047 %”

7 მარტს, ევროპის სახლში, ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა გელა კანდელაკის დოკუმენტური ფილმის “ხმელეთის 0,047%” ჩვენება.

ავტორის მთავარი სათქმელია - ქარველი ადამიანი, ქართული სამყარო, ქართული ღირებულებები – ქართველი გლეხის პირით ყოფაში დასმული ფილოსოფიური კითხვები. რეჟისორის მთავარი მიზანია, თვითმყოფადი ქართული კულტურის შეცნობა და მისი, როგორც ევროპული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენა.

0,047 - ხმელეთის ამ უმნიშვნელო ნაწილში მცხოვრებ მცირერიცხოვან ქართველებს, მრავალსაუკუნოვანი მძიმე ისტორიული ხვედრის მიუხედავად, "იდეალი ადამიანისადმი სიყვარულისა და ძმური განწყობისა არ შეცვლიათ" – ეს სიტყვები ფრანკფურტში 1913 წელს ებრაელთა კონგრესზე წარმოთქვა გენერალმა ლიფმონმა. რეჟისორი მიიჩნევს, რომ ქართველი კაცი დღესაც ასე ცხოვრობს.
სცენარის ავტორები: ვახტანგ როდონაია და გელა კანდელაკი.

„გული +"

14 თებერვალს კინოთეატრ ამირანში პროექტ „ხუთის" ერთ-ერთი ფილმის "გული +"-ის პრემიერა გაიმართა. რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე. მწარმოებელი კომპანია - "სანგუკო". ეს არის შეყვერბულთა დახმარების ფონდი შპს "გული +", ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება უიღბლოდ და უიმედოდ შეყვარებულებს, თავიანთი რჩეულების გულის დაპყრობაში. მთავარ როლებს ასრულებენ: რუსკა მაყაშვილი, გიორგი ყიფიანი, ია სუხიტაშვილი, ზაზა პაპუაშვილი და სხვები.

„თეთრი არა - შავი"

30 მარტს კინოთეატრ ამირანის მცირე დარბაზში გაიმართა კონსტანტინე (მინდია) ესაძის დოკუმენტური ფილმის „თეთრი არა - შავი" დახურული ჩვენება. ფილმი ეროვნული კინოცენტრის შარშანდელი კონკურსის გამარჯვებულია.

ფილმი გადაღებულია 6 ქვეყანაში და ასახავს მანქანებით ვაჭრობას, (ე. წ. „პერეგონშიკების " ყოფას) იმ რთულ გზას, რომელსაც მანქანებით მოვაჭრეები თვეში რამდენჯერმე გადიან.
მწარმოებელი კომპანია: „ჯემინი". პროდიუსერი: თინათინ ყაჯრიშვილი. კოპროდიუსერი: დუტა სხირტლაძე (დუტა ფროდაქშენი) ქრონომეტრაჟი: 58 წუთი.

„ხმელეთის 0,047 %"

„გული +"

„თეთრი არა - შავი"

კონკურსები

2011 წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი იყო 19 პროექტი. განხილვის შემდეგ საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 2 პროექტი.

- პროექტი **„ჩემი საბნის ნაკეცი"** (პროდიუსერი –შპს „ზაზარფილმი", რეჟისორი –ზაზა რუსაძე), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია – 500 000 ლარი.

- პროექტი **„გასროლა წყალში"** (პროდიუსერი – შპს „Polare Film", რეჟისორები – ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია –250 000 ლარი.

2011 წელს სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 23 პროექტი. განხილვის შედეგად საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 4 პროექტი:

- პროექტი **„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს"** (პროდიუსერი – შპს „ალეთეა", რეჟისორი – თინათინ გურჩიანი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 40 000 ლარი.

- პროექტი **„ქართული ნაგაზი"** (პროდიუსერი – შპს „თი-სტუდია", რეჟისორი - დემნა ჯაფარიძე), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 40 000 ლარი.

- პროექტი **„ფიქრი"** (პროდიუსერი – ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი – გელა კანდელაკი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 80 000 ლარი.

- პროექტი **„სიცოცხლის ფასი"** (პროდიუსერი – ლელა ჭინჭარაული, რეჟისორი – ლევან კიტია), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 40 000 ლარი.

2011 წელს მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 15 პროექტი. განხილვის შემდეგ საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა შემდეგი 5 პროექტი:

- პროექტი **„ნათურა"** (პროდიუსერი – შპს „სტუდია რეალითი", რეჟისორი – დავით კოპალეიშვილი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 16 000 ლარი.

- პროექტი **„თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა"** (პროდიუსერი – შპს „ჯი-ეფ-ემ სტუდიო", რეჟისორი – მალხაზ კუხიანიძე), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 21 000 ლარი.

- პროექტი **„ვეფხვი და მოყმე"** (პროდიუსერი – ზურაბ ქვაჩახია, რეჟისორი – მარიამ კანდელაკი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 50 000 ლარი.

- პროექტი **„ბებო"** (პროდიუსერი -- შპს „20 Steps Film", რეჟისორი – სანდრო ქათამაშვილი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 35 000 ლარი.

- პროექტი **„ორი პეპელა"** (პროდიუსერი – შპს „არტ-პარალელი", რეჟისორი – ილია დოიაშვილი), ეროვნული კინოცენტრის სუბსიდია - 25 000 ლარი.

2011 წლის დასაწყისში გამოცხადდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსებაზე, კონკურსში შემოვიდა 16 პროექტი და გადაეცა საექსპერტო კომისიას. გამარჯვებული პროექტები აპრილში გამოვლინდება.

კინოწარმოება

წლის დასაწყისისთვის წარმოებაშია:

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი

1. დასრულდა პროექტი „მარილივით თეთრი" (პროდიუსერი – შპს „ჯაგაგრიპი"- გიორგი შველიძე, რეჟისორი - ქეთევან მაჭავარიანი).

2. წარმოებაშია შპს „სანგუკოს" სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი **„ხუთი".** პროექტის ფარგლებში დასრულდა რეჟისორ თამარ შავგულიძის ფილმი **„დაბადებულები საქართველოში"** და ირაკლი ჩხიკვაძის ფილმი **„გული+"**. წარმოების პერიოდშია პროექტი **„თამაში",** რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და დავით უჯმაჯურიძის ფილმი **„ველური დღეების ქრონიკები".**

„დაბადებულები საქართველოში"

3. მოსამზადებელ პერიოდშია პროექტი **„როცა თეთრი ვარსკვლავები გამოჩნდებიან"** (პროდიუსერი – შპს „ბასტრა ფილმს", ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - ნინო კირთაძე). ფილმზე მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე.
4. მოსამზადებელ პერიოდშია პროექტი **„მანდარინები"** – (პროდიუსერი და რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).
5. სამონტაჟო პერიოდშია პროექტი **„გაიღიმეთ"** – (პროდიუსერი და რეჟისორი – შპს „ნიკე სტუდიო" – დირექტორი რუსუდან ჭყონია).
6. გადაღებები სრულდება პროექტზე **„ჩაიკა"** - ქართულ-ესპანური კო-პროდუქცია (პროდიუსერი – შპს „სინეტექი", რეჟისორი – მიგელ ანხელ ხიმენესი)

დოკუმენტური ფილმი

1. სამონტაჟო პერიოდშია პროექტი **„ღვინის აკვანი"** – (პროდიუსერი და რეჟისორი – ახალგაზრდა რეჟისორთა კავშირი „ახალი სტუდია" – მერაბ კოკოჩაშვილი), წარმოება 2010 წელი, ფილმზე მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის აპრილში.
2. დასრულდა პროექტი **„ბახმარო"** (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი"- კახაბერ მაჭარაშვილი, რეჟისორი – სალომე ჯაში).
3. დასრულდა პროექტი **„თეთრი არა - შავი"** (პროდიუსერი – შპს „ჯემინი" – თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი – მინდია ესაძე).
4. სამონტაჟო პერიოდშია პროექტი **„ჩვენი შვილები"** – (პროდიუსერი და რეჟისორი – ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია" - ზურაბ ინაშვილი), ფილმზე მუშაობა დასრულდება მომდინარე წლის აპრილში.
5. დასრულდა პროექტი **„კავკასიის შორეული ხეობები"** (პროდიუსერი – შპს „იქს-ეფი"- ბესარიონ ძანაშვილი, რეჟისორი – გიორგი მრევლიშვილი).
6. დასრულდა პროექტი **„სიხარულის ოდა"** – (პროდიუსერი – შპს „იქს-ეფი"- ბესარიონ ძანაშვილი, რეჟისორი – მიხეილ მრევლიშვილი).
7. სამონტაჟო პერიოდშია პროექტი **„ეს კახია კავსაძე"** – (პროდიუსერი – შპს ააიპ „სტუქო"- ერეკლე ტრიპოლსკი, რეჟისორი - ნანა ჯანელიძე). ფილმზე მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის მაისში.

„ჩაიკა"

ანიმაციური ფილმი

1. სამონტაჟო პერიოდშია პროექტი **„ცრუპენტელა აღმზრდელი"** (პროდიუსერი – შპს „იქს-ეფი" – ბესარიონ ძანაშვილი, რეჟისორი – დავით სიხარულიძე). ფილმი დასრულდება 20.12.2011წ.

2. სამონტაჟო პერიოდშია პროექტი **„უკანასკნელი წერილი"** (პროდიუსერი – შპს „კვალი XXI" – პაატა შენგელია, რეჟისორები – გელა კანდელაკი, პაატა შენგელია). ფილმზე მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

სხვა სიახლეები

ეროვნულმა კინოცენტრმა კინოკომისიის პრეზენტაცია გამართა

28 იანვარს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დიდ დარბაზში ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა კინოკომისიის პრეზენტაცია.

საქართველოს კინოკომისია (GFC) ეროვნული კინოცენტრის ქვესტრუქტურაა და მისი მიზანია მოიზიდოს უცხოელი კინომწარმოებლები საქართველოში გადასაღებად.

პრეზენტაციაზე ასევე წარმოდგენილი იყო კინოკომისიის ახლად შექმნილი ვებგვერდი www.filmcommission.ge, რომელიც დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოში კინოწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის და კინოსექტორის შესახებ, ადამიანური რესურსების მონაცემთა ბაზა, ადგილმდებარეობების ფოტოები, სტუდიებისა და კომპანიების საკონტაქტო ინფორმაცია, ა.შ.). კინოკომისიის არსებობა საქართველოში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას - ინვესტიციების მოზიდვას და ტურიზმის განვითარებას. კინოკომისიები არსებობს არაერთ ევროპულ ქვეყანაში და დიდი წარმატებით სარგებლობს.

რობერტ ბოშის ფონდი საქართველოში

23 მარტს, ეროვნულმა კინოცენტრმა რობერტ ბოშის ფონდის წარმომადგენლებს - ფრანკ ალბერსს და ნიკოლაი ნიკიტინს უმასპინძლა. უცხოელი სტუმრები დამწყებ ქართველ კინემატოგრაფისტებს შეხვდნენ. შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

რობერტ ბოშის ფონდი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული ფონდი, რომელიც აძლევს საშუალებას ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს განახორციელონ კინოპროექტები გერმანიასა და მის საზღვრებს გარეთ. რობერტ ბოშის ფონდს დაწესებული აქვს სამი წამახალისებელი პრიზი კინოწარმოების სფეროში ახალგაზრდა გერმანელი და აღმოსავლეთ ევროპელი კინემატოგრაფისტებისთვის. პრიზი ენიჭება ანიმაციური,დოკუმენტური და მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროექტებს. კოპროდუქციის პრიზი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა გერმანელ კინემატოგრაფისტებს (პროდიუსერებს,რეჟისორებს,ოპერატორებს და სცენარისტებს),განახორციელონ ერთობლივი კინოპროექტები ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. კოპროდუქციის პრიზი დაწესებულია ვისბადენის კინოფესტივალთან თანამშრომლობით (goEast Festival / Wiesbaden).
ბოშის წარმომადგენლები თბილისში ასევე შეხვდნენ კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრს - ნიკა რურუას, თბილისის და ბათუმის კინოფესტივალების ხელმძღვანელებს, კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

European Audiovisual Entrepreneurs

EAVE საქართველოში - კინოპროექტებისა და ქსელური მუშაობის განვითარების პროფესიული ტრეინინგ-პროგრამა

საქართველოში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კინოტრეინინგი – MINI EAVE ჩატარდა. ტრეინინგ-პროგრამა ჩაატარეს სპეციალურად საქართველოში მოწვეულმა საერთაშორისო დონის ექსპერტებმა:

- ალან ფონტენი (სწავლების ხელმძღვანელი, ლუქსემბურგი)
- კლერ დაუნსი (სცენარის კონსულტანტი, დიდი ბრიტანეთი)
- რიინა სილდოსი (ჯგუფის ხელმძღვანელი, ესტონეთი)
- დენის ვასლინი (კო-პროდუქციის ექსპერტი, ჰოლანდია)

ეროვნული კინოცენტრისა და ევროპული ტრეინინგ პროგრამა EAVE-ს მიერ ერთობლივად გამოცხადებული კონკურსის შედეგების მიხედვით, თბილისში - ევროპის სახლში 25-27 მარტს გამართულ უორქშოფს დაესწრო 5 ჯგუფი პროექტებით, 5 კინემატოგრაფისტი კი პროექტის გარეშე.

პროექტები:

1) ჩარტერული რეისი (პროდიუსერები – ირაკლი ბაღათურია, ბესო სოლომანაშვილი; სცენარის ავტორი – ვახო ვარაზი)
2) ჰიპოკრატეს ფიცი (პროდიუსერი – ანა ძიაპშიპა, სცენარის ავტორი: სანდრო ჯანდიერი)
3) შეყვარებული პროფესორი (პროდიუსერი – არჩილ გელოვანი; სცენარის ავტორი – ლევან კოღუაშვილი)
4) კუ (პროდიუსერი - ვალერიან კირკიტაძე; სცენარის ავტორი – ვალერიან კირკიტაძე)
5) ხვალ (პროდიუსერი – სოფო ბაზღაძე, სცენარის ავტორი – ქეთი მაჭავარიანი)

მონაწილეები პროექტების გარეშე:

1) ზვიად ელიზიანი (ბათუმის კინოფესტივალის მარკეტინგის მენეჯერი)
2) სოფო როინიშვილი (იურისტი)
3) სანდრო ქათამაშვილი (ანიმატორი)
4) ნიკა მდივანი (სცენარისტი)
5) ირაკლი შარაბიძე (იურისტი)

პროგრამის ფარგლებში მეორე სემინარი 2011 წლის 15-17 ივლისს ჩატარდება. მანმადე ქართველი კინემატოგრაფისტები უცხოელი ექსპერტების კონსულტაციების მიხედვით იმუშავებენ.

ბოლივუდის დელეგაცია ეროვნულ კინოცენტრში

ეროვნულმა კინოცენტრმა ბოლივუდის პროდიუსერთა დელეგაციას უმასპინძლა. სტუმრები გაეცნენ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის საქმიანობას და სამომავლო გეგმებს. ინდოელი პროდიუსერები საქართველოში იმყოფებიან ქვეყნის კინემატოგრაფიული კუთხით შესასწავლად - გადასაღები ადგილმდებარეობების სანახავად, ქართველ კინომოღვაწეებთან კონტაქტების დასამყარებლად, იმისთვის რომ სამომავლოდ შესაძლებელი გახდეს ბოლივუდის კინოსტუდიების საქართველოში ჩამოსვლა და ჩვენს ქვეყანაში კინოწარმოება.

MAIA workshops-ის კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა

ეროვნულ კინოცენტრსა და MAIA workshops შორის თანამშრომლობის შედეგად გამოცხადდა კონკურსი ახალგაზრდა კინომოღვაწეებისთვის MAIA workshops-ზე დასასწრებად. კონკურსში გაიმარჯვა და ეროვნული კინოცენტრის სასწავლო გრანტი მიიღო დამწყებმა კინორეჟისორმა - პაპუნა მოსიძემ. 27 წლის რეჟისორმა კონკურსზე წარადგინა პროექტი "ორი კვირით ადრე" - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის იდეა, რომელმაც 6 ქართველი მონაწილის პროექტებს შორის გაიმარჯვა. პაპუნა მოსიძემ მოიპოვა ეროვნული კინოცენტრის გრანტი, რომლის საშუალებითაც ის წლის განმავლობაში ბელგიასა და იტალიაში MAIA workshops-ის სამ მნიშვნელოვან ტრეინინგს დაესწრება.

MAIA workshop წარმოადგენს ევროპულ ტრენინგ-პროგრამას კინოს სექტორში, რომლის მიზანია მიაწოდოს და გააცნოს დამწყებ კინემატოგრაფისტებს მხატვრული და დოკუმენტური ფილმების წარმოებისთვის სათანადო უნარები.
ტრენინგ-პროგრამა განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობს დაბალ ბიუჯეტიანი ფილმების დაფინანსების, კო-პროდუქციისა და მარკეტინგის ასპექტებს.
პროგრამა გულისხმობს სამი ხუთდღიანი სემინარის განხორციელებას ევროპის სხვადასხვა ქალაქში. პირველი სემინარის თემატიკა მოიცავს შემოქმედებითი ასპექტების განხილვას, მეორე სემინარი მიმოიხილავს იურიდიულ და დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო მესამე სემინარი კი – მარკეტინგისა და დისტრიბუციის საკითხებს.

ეროვნული კინოცენტრი 61-ე ბერლინალეს კინობაზრობაზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 61-ე კინოფესტივალზე ინდუსტრიული კუთხით წარდგა. 10 თებერვალს ევროპულ კინობაზრობაზე ეროვნული კინოცენტრის სტენდი გაიხსნა. სტენდზე მუშაობდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი, ეროვნული კინოცენტრის ექსპორტისა და დისტრიბუციის დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე, რეჟისორი - მარიამ კანდელაკი. პავილიონი ბერლინალეზე 18 თებერვლამდე მუშაობდა და მის ფარგლებში 50-ზე მეტი ინდუსტრიული შეხვედრა გაიმართა.

14 თებერვალს ქართულ სტენდზე მიღება გაიმართა, რომელსაც 60-მდე სტუმარი ესწრებოდა. სტუმრებს სიტყვით მიმართეს ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა და საქართველოს ელჩმა გერმანიაში ქბ. გაბრიელა ფონ ჰაბსბურგმა. მიღებას ესწრებოდნენ დამოუკიდებელი პროდუსერები (ჟან ლუკ ორმირესი,მარტინ ჰაგემანი, ელს ვანდერვორსტი, ჰაინო დეკერი, ბენი დრეჰზელი და სხვა), ფესტივალების წარმომადგენლები (შეილა ვიტაკერი, მარზენა მოსკალი, ელენა გუფრიდა და სხვა), გაყიდვების აგენტები (,,ინსომნია ფილმსი“, ,,ვაიდ მენეჯმენტი“ და სხვა) და ინდუსტრიული კომპანიების სხვა წარმომადგენლები (მაგალითად, ,,ევროპული კინო პრომოუშენი“, კომპანია ,,ოლსბერგ“ და სხვები)

ეროვნული კინოცენტრის და ქართველი კინომოღვაწეების პატივსაცემად 15 თებერვალს საქართველოს საელჩომ გერმანიაში მიღება გამართა.

ბერლინის კინობაზრობაზე საერთაშორისო ფესტივალების მხრიდან გამოიკვეთა დიდი ინტერესი ქართული ფილმების მიმართ (მაგალითად: Karlovy Vary International Film Festival, Dubai International Film Festival, uinzaine des realisateurs, Cannes Film Festival)

ასევე გამოიკვეთა გაყიდვების ევროპელი აგენტების მხრიდან ინტერესი ქართული კინო პროექტების მიმართ. (მაგალითად: Latido Films, Wide Management და სხვა)

კინოცენტრმა კინოსექტორის უცხოელ წარმომადგენლებს გააცნო საქართველოში გადაღების წარმოების შესაძლებლობები და პირობები. შეხვედრები გაიმართა ჰამბურგის, იორდანიის, ნიუ იორკის და სხვა კინოკომისიონერებთან.

ბაზრობაზე ყოფნა ეფექტურად იქნა გამოყენებული ასევე საქართველოს ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდში Eurimages ინტეგრაციის პროცესებისთვის. შეხვედრები შედგა Eurimages-ის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან, ასევე მისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან.

საქართველოდან პროექტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად მარკეტზე მუშაობდნენ:
ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტის "გასროლა წყალში" პროდიუსერი და რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი.

ბესო სოლომანაშვილი და ვლადიმერ კაჭარავა პროექტით: "20 ნაბიჯი მიწის ქვეშ" (ამ პროექტის ავტორებმა 2010 წელს ტალინის ბნელი ღამეების ფესტივალის ერთ-ერთ ტრენინგზე მოიპოვეს უფლება წარედგინათ პროექტი ევრპული კინოს ბაზრობაზე შემდგომი განვითარებისთვის).

რეჟისორი ნინო კირთაძე და პროდიუსერი ქეთევან გალდავაძე ასევე კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტით "როცა თეთრი ვარსკვლავები გამოჩნდებიან".
პროდიუსერი თიკო ყაჯრიშვილი პროექტით "რეისი თბილისი - თბილისი", რეჟისორი ვანო ბურდული.
პროდიუსერი ნანა ჯორჯაძე პროექტით "წყლების მაღაზია", რეჟისორი: სტეფან ტოლცი

ეროვნული კინოცენტრი სოფიას მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალზე

(10-13 მარტი 2011)

ეროვნული კინოცენტრი წარმოდგენილი იყო ბულგარეთში, სოფიას მე-15 კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე. (Sofia Meetings) ბულგარეთის დედაქალაქში სამუშაო შეხვედრებს დაესწრო ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე - სალომე სეფაშვილი (10-13 მარტი, 2011). ევროპული კინოსექტორის წარმომადგენლების შეხვედრების სერია ფესტივალზე მერვედ იმართება. მისი მიზანია, ახალგაზრდა ევროპელი კინემატოგრაფისტების პროექტების ხელის შეწყობა, ბულგარული და ბალკანეთის რეგიონის კინოს წახალისება და წარდგენა ევროპელი კინოპროფესიონალების წინაშე. კინომოღვაწეების შეხვედრებზე გაიმართა როგორც კინოჩვენებები, ასევე მოხდა უკვე წარმატებული პროექტების წარდგენა (Pitching). (სცენარებისა, რომლებმაც უკვე მოიპოვა სხვადასხვა ფესტივალზე, მაგალითად: ბელგრადის, კოტბუსის, ტალინის თუ სხვა კინოფორუმზე წარმატება)
ფესტივალის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა დისკუსიის პანელსა თუ შეხვედრას დაესწრო მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტი პროდიუსერი, დისტრიბუტორი, ასევე კინოფონდების, ფესტივალების და კინოცენტრების წარმომადგენლები.

რეზო ჩხეიძე - კინოს დიდ გზაზე - წიგნის პრეზენტაცია

18 მარტს, მაგთიკლუბში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია: "რეზო ჩხეიძე - კინოს დიდ გზაზე."
პროექტის ავტორია ნანა ჯანელიძე. წიგნი შეადგინეს: ნანა ჯანელიძემ და ნინო ნატროშვილმა. წიგნი ასახავს როგორც რეზო ჩხეიძის ბიოგრაფიას, ისე მე- 20 საუკუნის საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებას. წიგნი იძლევა ენციკლოპედიურ ცნობებს იმ მოვლენაზე, რასაც კინოსტუდია "ქართული ფილმი" ერქვა.
წიგნი მდიდარია ფოტოილუსტრაციებით და კინოკადრებით, როგორც რეზო ჩხეიძის ფილმებიდან, ასევე ქართული კინოკლასიკიდან, ("აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", "შერეკილები", კინოფაკულტეტის სტუდენტური ფილმების კადრები და კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლების ფოტოებით.) აქ არის უამრავი ზუსტი ნოველა თუ ჩანახატი ცნობილ და უცნობ კინომოღვაწეებზე, მათზე, ვისაც მაყურებელი კარგად იცნობს, და მათზეც ვინც ყოველთვის კადრს მიღმა მუშაობს.

www.gnfc.ge